

ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტური უფლებები საქართველოში

„თუ ადამიანს დაელაპარაკები იმ ენაზე რომელიც მას
ესმის, ის გონებით გაიგებს, მაგრამ თუ მას მის ენაზე
დაელაპარაკები შენი სიტყვები მის გულამდე
მიადწევს.“

ნელსონ მანდელა

აბსტრაქტი

ენა იდენტობის გამომხატველი ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ლინგვისტური უფლებები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობებისთვის. ეთნიკური უმცირესობებისთვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, სწორედ რომ, ლინგვისტური უფლების დაცვით იწყება. მიუხედავად არსებული შესამჩნევი პროგრესისა, ფართოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები მუდმივ სრულყოფას განიცდიან, რაც თავისმხრივ სახელმწიფოებს ავალდებულებს გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა უმრავლესობაში მათი ასიმილირების მიზნით. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების პრობლემური სფეროების ანალიზის ფონზე გამოიკვეთოს სპეციფიკური ნორმების იმპლემენტაცია-რატიფიკაციის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, ენა, ლინგვისტური უფლებები.

Abstract

Language is often the central element and touchstone of one's identity. Linguistic rights have crucial importance for national minorities. The protection of their fundamental rights and freedoms starts with linguistic rights. Despite the remarkable progress, widely respected international legal norms are constantly being perfected, so the state authorities should use specific language policies to assimilate minorities into the majority group. Hence, it is important to clarify the issue of implementation-ratification of specific norms against the background of the analysis of problem areas of ethnic minorities living in Georgia.

Keywords: *Ethnic minorities, language, linguistic rights.*

შესავალი

საქართველო საუკუნეების განმავლობაში სხვა ქვეყნებისაგან მრავალეთნიკურობით გამოირჩეოდა, დღეს კი მის ტერიტორიაზე მათგან ძირითადად მხოლოდ ორი ენობრივი

ჯგუფი სახლობს კომპაქტურად ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში, ხოლო დანარჩენი ეთნიკური ჯგუფები ნაკლებად მჭიდრო დასახლებებს ქმნიან და განფენილნი არიან სხვადასხვა რეგიონსა თუ ურბანულ ცენტრში.² სახელმწიფო ვალდებულია ეროვნული

¹ თსუ იურული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი. ელ. ფოსტა: natiagogritchiani@gmail.com.

² საქართველოს მესამე ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, 2017, 7.

უმრავლესობის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებათა დაცვასთან ერთად უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობების თითოეული წარმომადგენლის კეთილდღეობაც. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო ვალდებულია იმოქმედოს იმგვარად, რომ მოახდინოს ეთნიკური ჯგუფების ლინგვისტური უფლებების, როგორც სამართლებრივად უზრუნველყოფა, ისე რეალურად განხორციელება.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ საზოგადოების ეთნიკური უმრავლესობის გვერდით ძირითადად აზერბაიჯანლები (6.3%) და სომხები (4.5%) სახლობენ.³ სამართალი, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე, ზრუნავს მათი უფლებების დაცვასა და რეალიზებაზე. აღნიშნული ნაშრომიც სწორედ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული უმცირესობის ამ ორი ჯგუფის ლინგვისტური უფლებების განხილვა-შეფასების ფონზე, ზოგადად ეთნიკური უმცირესობების უფლებების, შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტებისა და მათი საქართველოს თანამედროვე რეალობაში ასახვის შეფასებას დაეთმობა. მკითხველს საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაწიერიდან შესაძლებლობა ექნება დაინახოს სახელმწიფოში შესაძლო თუ უკვე არსებული ლინგვისტური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა, ენობრივი უფლებების რეალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემის ურთიერთმიმართება და საბოლოო ეტაპზე შეაფასოს ავტორისეული ხედვა ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტური უფლებების კუთხით არსებული გამოწვევების მიმართ.

1. ეთნიკური უმცირესობის განმარტება

ეთნიკური უმცირესობა თითოეული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ მაინც ვინ მოიაზრება ამ ტერმინის უკან? ეთნიკური უმცირესობის ცნება არცერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით პირდაპირ არ არის განსაზღვრული. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ მოახერხა ამ ტერმინის განსაზღვრა, სახელმწიფოებს თავად აქვთ მინიჭებული უფლებამოსილება საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში თავად დაადგინონ მოსახლეობის ობიექტური თუ სუბიექტური მახასიათებლის მიხედვით ეთნიკური უმცირესობის ზუსტი განმარტება. სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოება მაინც მიდის იმ დასკვნამდე თუ ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს ეთნიკური უმცირესობის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ არც ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია⁴ (შემდგომში - ჩარჩო კონვენცია ან FCNM) და არც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი⁵ ეთნიკური უმცირესობის განმარტებას არ იძლევა, 1977 წლის უმცირესობათა დაცვისა და დისკრიმინაციის აკრძალვის გაეროს ქვეკომიტეტზე ფრანჩესკო კაპოტორტის მიერ შემოთავაზებული ცნება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს საზოგადოების ამ ჯგუფის მაიდენტიფიცირებელ საკმაოდ ნათელ და ზუსტ ფორმულირებად. მან ეროვნული უმცირესობა განმარტა, როგორც: „ადამიანთა ჯგუფი, რომელთა საერთო რაოდენობა არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა, რომელთა წევრები არიან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური იდენტობის მატარებელნი, დომინანტ მოსახლეობასთან შედარებით და რომლებსაც აქვთ სურვილი დაიცვან საკუთარი კულტურა, ტრადიციები, რელიგია და ენა“.⁶

³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, 2018, 9.

⁴ ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია, 1995.

⁵ CCPR General Comment No.23: Article 27 (Rights of Minorities).

⁶ *Minority Rights: International Standards and Guidance for Implementation*, UN Office of the High Commissioner for Human Rights (OHCHR), 2010,

აღნიშნული განმარტება ზუსტად მოიცავს საერთაშორისო საზოგადოების მიერ დღემდე გამოთქმულ თითქმის ყველა მოსაზრებას და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ახლოს დგას ეთნიკური უმცირესობის ცნების რეალურ არსთან.

როგორც უკვე აღინიშნა, ნაშრომი ლინგვისტური უფლებების განხილვას დაეთმობა. ენობრივი უფლებები მხოლოდ იმ ჯგუფს გააჩნია, რომელთათვისაც საზოგადოების ერთ-ერთ ან ერთადერთ განმასხვავებელ ნიშნად უმრავლესობისგან განსხვავებული ენა მიიჩნევა, შესაბამისად, აღნიშნული ჯგუფი ლინგვისტურ უმცირესობებად იწოდება და სარგებლობს იმ უფლებებითა და ვალდებულებებით, რაც ეროვნული უმცირესობების საერთაშორისო სამართლებრივი თუ ეროვნული დოკუმენტებითაა გათვალისწინებული.

1.1. ლინგვისტური უფლებები და ჩარჩო კონვენცია

ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტური უფლებების სამართლებრივი რეგულირება ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების შექმნისთანავე დადგა დღის წესრიგში. ჯერ კიდევ 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლი ნათლად ამბობს, რომ „ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებებისა, სახელობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა“. ეს იყო პირველი მცდელობა საერთაშორისო სამართლებრივი თუ პოლიტიკურ დოკუმენტით წამოჭრილიყო ლინგვისტური

თანასწორობა და დარეგულირებულიყო უმცირესობათა ენების უფლებები.⁷

ლინგვისტური უფლებების სამართლებრივი დაცვის შემდგომი მცდელობა ეროვნული უმცირესობების ჩარჩო კონვენციის შექმნაში გამოიხატებოდა. სწავლულთა ერთი ნაწილის აზრით, კონვენცია ნაკლებადაა დაკავშირებული ლინგვისტურ უფლებებთან, რადგან უმცირესობათა პრობლემების ფართო სპექტრს მოიცავს და პოლიტიკური და რელიგიური უფლებების გვერდით ენას მხოლოდ და მხოლოდ უმცირესობის იდენტობის მდგენელად განიხილავს. აღნიშნულის დასადასტურებლად ისინი კონვენციის რიგით ნორმას (მე-5 მუხლს) იშველიებენ და ენას უმცირესობების თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ რელიგიის, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის გვერდით მოიაზრებენ.⁸ არსებობს მეცნიერთა მეორე ნაწილიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ლინგვისტური უმცირესობების უფლებების დაცვა ჩარჩო ხელშეკრულების ერთადერთ და შეიძლება მთავარ გამოწვევად იქნეს აღქმული⁹ და ამის დასასაბუთებლად საჭიროა მიეთითოს კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებზე, რომლებიც ენობრივ უმცირესობათა დაცვის მნიშვნელოვან პრინციპებს მოიცავენ და რომელთა ვერბალური ფორმულირება სახელმწიფოებს საკმაოდ ფართო განმარტების საშუალებას აძლევს. მეცნიერთა აზრით, უმცირესობათა კონვენციის გამოყენება უფრო ეფექტური ხდება მაშინ, როდესაც მითითება ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არადისკრიმინაციულ ნორმებზე, კერძოდ, ჩარჩო კონვენციის მე-10(3) მუხლით განსაზღვრულ უფლებებზე ევროპული კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) მუხლების

<<https://www.refworld.org/docid/4db80ca52.html>>
, [ბოლოს ნანახია: 14.05.2022].

⁷ D. O'Riagáí, *The political importance of the European Charter for Regional or Minority Languages*, Council of Europe Publishing, 1999, 15.

⁸ F. Albanese, *The position of the European Charter for Regional or Minority Languages in the general context of the protection of minorities*, Council of Europe Publishing, 1999, 26.

⁹ Ibid, გვ 15.

დაცვის სტანდარტთან ერთად.¹⁰ აღნიშნული ნორმებისგან დამოუკიდებლად ჩარჩო კონვენციის გამოყენება შეუძლებელია. ამას ადასტურებს საქართველოში არსებული ვითარება, რაც შემდგომ უფრო დაწვრილებით იქნება მიმოხილული.

1.2. ენების ქარტია

ეთნიკურ უმცირესობათა ლინგვისტური უფლებების დაცვის მიზნით შექმნილი რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია¹¹ (შემდგომში ქარტია) ჩარჩო კონვენციისგან განსხვავებით საკმაოდ ზუსტ და კონკრეტულ ვალდებულებებს ადგენს სახელმწიფოებისთვის. დოკუმენტი ლინგვისტურ უმცირესობებს ფართო უფლებებით აღჭურავს. უფრო მეტიც, შედარებით ეფექტური მონიტორინგის მექანიზმის საშუალებით, მათი შესრულების ზედამხედველობასაც კი უზრუნველყოფს. კონვენცია სამართლებრივ-პოლიტიკური ბუნებისაა მაშინ, როცა ქარტია იურიდიულ-კულტურულ ხასიათს ატარებს.¹² არსებული განსხვავება ხსნის დაცვის მეთოდებს, დამკველობითი ზომების შემადგენლობასა და მონიტორინგის სისტემებს შორის არსებულ განსხვავებულ მიდგომებს. ქარტიის მთავარ მიზანს არა უმცირესობების უფლებების განსაზღვრა, არამედ მათი ენების კუთხით ეროვნულ სამართალში შესაბამისი ზომების გატარებისკენ სახელმწიფოების მოწოდება წარმოადგენს.¹³ ენების ქარტიის თავისებურებებს ისიც ემატება, რომ „ეროვნული უმცირესობა“ ტერმინის სახით მასში არ არის წარმოდგენილი. ეს დოკუმენტი მხოლოდ ენის ცნების გარშემო ადგენს გარკვეულ სამართლებრივ რეალობას. ენა ადამიანების გარეშე არ არსებობს, შესაბამისად

შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტი ირიბად მოიცავს იმ ადამიანებს, რომელთა ძირითად სასაუბრო ენას რეგიონული ან უმცირესობათა ენა წარმოადგენს. ასეთი დამოკიდებულებით ქარტია გარკვეულწილად გვერდს უვლის გამოწვევებს და კონცენტრირდება იმ პრობლემებზე, რომელშიც საერთაშორისო საზოგადოებებს შორის შეთანხმების საგანს წარმოადგენს.¹⁴

1.2.1. ენების ქარტია და საქართველო

რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია საქართველოსთვის არ არის ძალაში შესული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ 1999 წელს ევროპის საბჭოს წევრობით ავტომატურად იკისრა მისი ხელმოწერისა და რატიფიკაციის პასუხისმგებლობა, ეს საკითხი ჯერ კიდევ განხილვის საგანია. დროში გაწელილი პროცესის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს კი საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრთა სხვადასხვაობა წარმოადგენს. მოცემული საფრთხეებისა თუ შესაძლო არეულობის თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლებაც საკუთარი მოსახლეობის პოზიციისა თუ სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის გათვალისწინებით ცდილობს ქარტიის რატიფიცირებას, შესაბამისად, თითოეული სიტყვის გააზრებითა და ქარტიის შედეგების გათვლით მოახდინოს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 2013 წელს შეიქმნა ქარტიის რატიფიკაციის პროექტი და დღემდე მასთან დაკავშირებით ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობებისა და მსჯელობის გარდა არაფერი ისმის. ამ პროექტის მიხედვით, ქარტიის 1-ლი და მე-2 მუხლით გაგებულ რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ქვეშ საქართველო ეროვნულ უმცირესობათა ენებს

¹⁰ R. Hofmann, *A presentation of the Framework Convention for the Protection of National Minorities and its contribution to the protection of minority languages*, Regional or Minority Languages No.2, Council of Europe Publishing, Innsbruck, 1998, 22, <<https://rm.coe.int/16806d22e6>>, [ბოლოს ნანახია: 14.05.2022].

¹¹ European Charter for Regional or Minority Languages, Strasbourg, 1992.

¹² R. Hofmann, *A presentation of the Framework Convention for the Protection of National Minorities and its contribution to the protection of minority languages*, 7.

¹³ F. Albanese, *The position of the European Charter for Regional or Minority Languages in the general context of the protection of minorities*, 1999, 27.

¹⁴ D. O'Riagáí, *The political importance of the European Charter for Regional or Minority Languages*, 1999, 16.

მოიაზრებს, გამორიცხავს მის ტერიტორიაზე რაიმე რეგიონული ენის გამოყენებას და პრიორიტეტულად კვლავ სახელმწიფო ენის გამოყენებას თუ მისი შესწავლის საჭიროებას განსაზღვრავს.

2. ლინგვისტური უფლებების განხორციელების ისტორია საქართველოში

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გატარებული რეფორმები თანდათანობით სრულყოფილი ხდება და საბოლოო სახეს იღებს. გასული საუკუნის საქართველოს ხელისუფალთა დამოკიდებულება უმცირესობების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით არ გამოირჩეოდა. ამას, რა თქმა უნდა, შექმნილი პოლიტიკური მძიმე ვითარება და საბჭოთა კავშირის კლანჭებს დაღწეული ქვეყნის სინდრომი განაპირობებდა, რაც სრულებით არ ქმნიდა ისეთ გარემოებას, რომ მთავრობას მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაედგა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ზოგადად, ცნობილია კიდევ, რომ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოები არ ფლობენ საკმარის რესურსებს იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ უმცირესობების მოთხოვნები და მათ საკუთარი იდენტობის დაცვის მექანიზმები შესთავაზონ.¹⁵

21-ე საუკუნის პირველივე წლებში ხელისუფლების ცვლილებამ და ევროპულმა გეზმა საქართველოს კარი გაუხსნა ფუნდამენტური კონვენციების იმპლემენტაციისკენ და პირველი ნაბიჯების გადადგმისკენაც უბიძგა. მთავრობის ასეთი პოლიტიკის პრაქტიკული გამოხატულება იყო 2005 წელს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის რატიფიკაცია, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ ინიცირებულ ეროვნულ უმცირესობებში ქართული ენის

ცოდნის გავრცელების ხელშეწყობის პროექტებზე პასუხისმგებლობის აღება, ეროვნული ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება-მიღება (2009-2014), უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით სხვადასხვა რეფორმის შემოღება,¹⁶ თუმცა, როგორც დღევანდელი ვითარებით ირკვევა, არც ეს აღმოჩნდა საკმარისი უმცირესობათა მდგომარეობის სრულყოფისთვის. ლინგვისტური უმცირესობის უფლებრივი მდგომარეობის უკეთ განსაჭვრეტად აუცილებელია მათი ენობრივი უფლებების შეფასება, როგორც ფორმალური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

3. ჩარჩო კონვენცია და საქართველო

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ნაწილს წარადგენს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ კონვენცია. საქართველოს ხელისუფლებამ დოკუმენტის რატიფიკაცია რამდენიმე დაზუსტებით მოახდინა და უმცირესობის ჯგუფის ქვეშ მოიაზრა ის პირები, რომლებიც: 1. არიან საქართველოს მოქალაქეები; 2. მოსახლეობის უდიდესი ნაწილისგან განსხვავებული საკუთარი ენობრივი, კულტურული და ეთნიკური იდენტობა გააჩნიათ; 3. ხანგრძლივი დროით ცხოვრობენ ქვეყნის ტერიტორიაზე; 4. არიან კომპაქტურად დასახლებულები.¹⁷ პარლამენტის დადგენილებით კიდევ უფრო დავიწროვდა კონვენციის გამოყენების ფარგლები, განსაკუთრებით ენის გამოყენების უფლება და პრიორიტეტულად სახელმწიფო ენის სწავლება განისაზღვრა.¹⁸ საფიქრებელია, რომ ენის გამოყენების მსგავს ფარგლებში მოქცევა უმცირესობათა შორის უკმაყოფილებას და სახელმწიფო ენისადმი ნაკლებ ინტერესს იწვევს. თუმცა, იმის გასარკვევად თუ რა ვითარებაა დღეს საქართველოში უმცირესობათა ლინგვისტური უფლებების

¹⁵ ე. მეტრეველი, „საფრთხეთა წინააღმდეგობრივი აღქმა საქართველოში“, საქ. სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2014, 6.

¹⁶ Ibid, გვ 5.

¹⁷ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ, 2005 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/43390?publication=0>>, [ბოლოს ნანახია: 16.05.2022].

¹⁸ Ibid.

დაცვის კუთხით საჭიროა კომპეტენტური ორგანოს დასკვნებისა და რეკომენდაციების შეფასება.

4. FCNM-ის მონიტორინგის ანგარიში

საქართველოს ხელისუფლებამ 2014-2020 წლის სამოქმედო გეგმით ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია განსაზღვრა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ნაწილი წარმოადგენდა. ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი (შემდგომში მრჩეველთა კომიტეტი/FCNM) ჩარჩო კონვენციის წევრ სახელმწიფოთა შესახებ პერიოდულად ადგენს მოხსენებებს. საქართველოს მიმართ ბოლო, მესამე მონიტორინგის ანგარიში¹⁹ FCNM-ის მრჩეველთა კომიტეტმა სწორედ ამ გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები შეაფასა, ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და ამასთან, მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო ლინგვისტური უფლებების თავს.

საქართველომ კომიტეტისადმი წარდგენილ 2017 წლის ანგარიშში მთავრობის მიერ უმცირესობების უფლებების დაცვის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები და რეფორმები მიაწოდა საერთაშორისო საზოგადოებას, ლინგვისტური უფლებების კუთხით კი განსაკუთრებულად აღნიშნა მათ შორის განათლების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ადმინისტრაციული თვითმმართველობის სფეროში განხორციელებული ცვლილებები. თუმცა, მრჩეველთა კომიტეტის 2019 წლის საბოლოო დასკვნა ცხადყოფს, რომ სრულყოფილი და წარმატებული არც ერთი რეფორმა არ ყოფილა.

როგორც უკვე აღინიშნა, ანგარიშის რეკომენდაციები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ეროვნული უმცირესობების

ლინგვისტური უფლებების გამოყენების შესახებ.

ამ მხრივ, პირველ რიგში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ადგილობრივი თვითმმართველობების დამოკიდებულება ენობრივ უმცირესობებთან. სახელმწიფოსგან მიღებული ინფორმაციით, ხელისუფლება საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მიღებული ნორმატიული აქტის უმცირესობის ენაზე თარგმნას, ხოლო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში შესაძლებელია ეროვნული უმცირესობის ენები გამოყენებულ იქნეს საჯარო ინფორმაციის გასავრცელებლად.²⁰ „საჭიროება“ ამ კონტექსტში არ გულისხმობს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მხრიდან ოფიციალურ ენაზე მეტყველების უნარის არქონას და შესაბამისად, არც უმცირესობის ენაზე მომსახურების უზრუნველყოფას. უმცირესობის ენის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციონირების საფრთხე, ამა თუ იმ რეგიონში საკმარისია, იმისათვის, რომ წარმოადგენდეს „საჭიროებას“ ჩარჩო კონვენციის მე-10(2) მუხლის შესაბამისად. უმცირესობის ენაზე მომსახურების შესაწარმუნებლად, მრჩეველთა კომიტეტის რეკომენდაციით საქართველოში უნდა შეიქმნას დამცავი მექანიზმები, თუნდაც არ ხდებოდეს ენის ფართოდ გამოყენება. გარდა ამისა, სახელმწიფომ ლინგვისტური უმცირესობების უფლებების დაცვის მიზნით უნდა ითანამშრომლოს იმ ორგანოებთანაც, სადაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ეფექტურად იქნებიან წარმოდგენილები.²¹ ამ ნაბიჯების გადადგმა სასარგებლო იქნება არამარტო უმცირესობის ჯგუფის წევრებისთვის მათი ენობრივი უფლებების სრულყოფის მიზნით, არამედ მნიშვნელოვნად შეიცვლება დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმიც. მოსახლეობა ერთს მეორის საპირწონედ აღარ აღიქვამს და შესაბამისად

¹⁹ საქართველოს მესამე ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, 2017.

²⁰ Ibid, გვ.31.

²¹ მესამე შემაჯამებელი დასკვნა საქართველოს შესახებ, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტი, 40.

ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინტეგრაციის პროცესს.

კომიტეტი გამოყოფს აგრეთვე შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი ადამიანური რესურსის სიმცირის პრობლემას სახალხო დამცველის აპარატში. უმცირესობათა ენებზე მოსაუბრე პერსონალის ხელმისაწვდომობა ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი, უფრო მეტიც, უმცირესობების საჩივრებზე პასუხის გაცემა ხდება მხოლოდ ქართულ ენაზე და დაინტერესებული პირისთვის ითარგმნება მხოლოდ ზეპირად, თავად ოფისის თანამშრომლების მიერ, რაც ასევე ყურადსაღები და გასათვალისწინებელია. მრჩეველთა კომიტეტმა აღნიშნა, რომ თანამშრომელთა მთარგმნელობითი უნარების ოფიციალურად დამოწმება არ ხდება. სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები თუ თარგმანები, ჩვეულებრივ, არ ხორციელდება აკრედიტებული კომპანიების მიერ, არამედ ითარგმნება „მოცემული შემთხვევისთვის გამოსადეგი“ მთარგმნელებისა თუ თარჯიმნების მიერ, რომლებსაც საკმარისი ანაზღაურებით არ უზრუნველყოფენ და მოიცავს მხოლოდ ადგილობრივებს. მათ კი არ აქვთ ხარისხიანი მომსახურების გაწევის უნარი და მათი ცოდნა შემოიფარგლება იურიდიულ პროცედურებში ჩართული პირის მინიმალური გაგებით.²² არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა „დემოკრატ მესხთა კავშირთან“ (UDM) და საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია საკუთარ 2017 წლის ანგარიშში²³ ასევე განიხილავს თარგმანთან დაკავშირებულ პრობლემების სრულად განსხვავებულ სახეს და აღნიშნავს, რომ პირთა ლინგვისტური უფლებების დაცვის მიზნითა და საჯარო თუ საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით აუცილებელია საქართველოს ზოგად

ადმინისტრაციულ კოდექსში მოხდეს გარკვეული ცვლილებების შეტანა ეთნიკური უმცირესობებისთვის საჯარო უწყებებში შესატანი დოკუმენტაციის უსასყიდლოდ თარგმნის შესახებ. ეს არასრული ჩამონათვალი იმ რეალური პრობლემებისა, რომელთაც ლინგვისტური უმცირესობების წარმომადგენლები აწყდებიან, ნათლად წარმოაჩენს არსებულ პირობებს და ნამდვილად იძლევა ზოგად წარმოდგენას საქართველოში ამ მხრივ საჯარო უწყებებში არსებულ მდგომარეობაზე.

მრჩეველთა კომიტეტის ანგარიშში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები. აღნიშნული კი დაკავშირებულია არა სამართლებრივი ნორმების შეცვლასთან, არამედ უკვე არსებული კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელებასთან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს უფასო თარჯიმნის მომსახურებას სასამართლოში იმ პირებისათვის, რომლებიც არ ფლობენ სახელმწიფო ენას²⁴ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია უფასო თარჯიმნის მომსახურება სახელმწიფო ენის არმცოდნე პირებისათვის – როგორც დაკითხვის, ისე საგამოძიებო საქმიანობის მიმდინარეობის დროს,²⁵ არასაკმარისი ფინანსური რესურსების ანდა კვალიფიციური თარჯიმნების არარსებობის გამო ხშირად სასამართლო სისტემაში უმცირესობათა ენების სრულად გამოყენების უზრუნველყოფა მათ შორის, საგამოძიებო და წინასასამართლო ეტაპებზეც თანმიმდევრულად ვერ ხდება. ეს პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების შემთხვევაში. სწორედ ამიტომ, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს

²² ბ. ბოხაშვილი, გ. მშვენიერაძე, ი.ყანდაშვილი, *ექვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში*, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივა, 2016, 138-139.

²³ ე. მარიკაშვილი, მ. გიგინეიშვილი, *უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება*

სტრატეგიული სამართალწარმოების გზით, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, თბილისი, 2017, 10.

²⁴ საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 10.

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 38.

ხელისუფლებას, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად. ამასთანავე მოუწოდებს, რომ უმცირესობის ენაზე თარგმნის უფლების გარანტია იქნას შემოღებული, არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმისწარმოების ქრილში, არამედ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაშიც.²⁶

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის თანახმად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის ხელისუფლებამ განსაზღვრა სამი ძირითადი ამოცანა, რომელთაგან ლინგვისტური უფლებების განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესი, სწორედ ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული თუ ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა.²⁷

რაც შეეხება აღნიშნულის პრაქტიკაში ასახვას, კომიტეტის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პერიოდმა მოიცვა სხვადასხვა ცვლილებები საზოგადოებრივ მედიაში. ახალი ამბების გადაცემა "მომხმე", რომელიც 2013 წლიდან 2016 წლამდე ხუთ ენაზე (აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და რუსული) მაუწყებლობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხზე, 11- და 12-წუთიანი ფორმატით, შეწყდა.²⁸ ეს პროგრამაც მიუხედავად იმისა, რომ მცირე ხანს მაუწყებლობდა, არ სარგებლობდა საკმარისი დაფარვით, ვინაიდან ძირითადად ეროვნული საინფორმაციო პროგრამის თარგმნით ვერსიას წარმოადგენდა და მხოლოდ მცირე დოზით ითვალისწინებდა ლინგვისტური

უმცირესობებისთვის სპეციფიკური ინფორმაციის გადმოცემას. ღია მედია გარემო უნდა მოიცავდეს არამარტო პროგრამირებას უმცირესობათა ენებზე, არამედ უნდა უზრუნველყოფდეს, ეროვნული უმცირესობების ყოველდღიურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების და შეხედულებების (მაგალითად, განათლების, შრომის სექტორის ან ეროვნული რეფორმის განხორციელების), ადეკვატურ ინტეგრირებას საზოგადოებრივ მედიაში, რათა შექმნას საერთო მედია-სივრცე უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, რომელსაც საზოგადოების ყველა წევრი გამოიყენებს. ამ კონტექსტში კომიტეტმა აღნიშნა, რომ არამარტო ახალი გადაცემების შექმნამ, არამედ ასევე მედიაში ბილინგვიზმის პოპულარიზაციამ (მაგალითად, პროგრამებზე სუბტიტრების დადება ქართულ ენაზე), შეიძლება მართლაც შეუწყოს ხელი ასეთი საერთო მედიის შექმნასა და უმცირესობებში სახელმწიფო ენის შესწავლის დონის ამაღლებას.²⁹ სწორედ ამ მიზნით გაიცა შესაბამისი ღონისძიებების გატარების რეკომენდაციაც.

ლინგვისტური უფლებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მიხედვით ერთ-ერთ გამორჩეულ რეფორმას ლინგვისტური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ პროგრამული მხარდაჭერა წარმოადგენდა, როგორც სახელმწიფო ისე მათ მშობლიურ ენაზე.³⁰ თუმცა, მრჩეველთა კომიტეტის ანგარიშიდან გამომდინარე შეიძლება ითვას, რომ აღნიშნულმა რეფორმამ საკუთარი მიზნები მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა და ეს

²⁶ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის (ACFC) მესამე თემატური კომენტარი, ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებული, ეროვნულ უმცირესობისადმი მიკუთვნებულ პირებთან ენობრივი უფლებები, 2012 წლის 24 მაისი, პარა.59.

²⁷ მესამე თემატური კომენტარი დასკვნა საქართველოს შესახებ, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის

შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტი, 20.

²⁸ Ibid, გვ 36.

²⁹ Ibid, გვ 36.

³⁰ საქართველოს მესამე ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, 2017, 26.

საკითხი დღესაც დგას საზოგადოების წინაშე. უფრო მეტიც, ამ პრობლემას სტუდენტებშიც ვხვდებით. აქვე კომიტეტი აღნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების მიმღებ პირებს, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, თუმცა, ამავდროულად ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება სავალდებულოა.³¹ სხვა საკითხია ის თუ რა დონეზე ხდება სახელმწიფო ენის სწავლება მოსწავლეებისთვის. აღნიშნულის გასარკვევად სრული ზოგადი განათლების მიღების შემდგომ სავალდებულო გამოცდის დაწესებამ შეიძლება შექმნას პროდუქტიული გარემო და წახალისოს თემის წარმომადგენლების საზოგადოებაში შემდგომი სოციალიზაციის პროცესი.

განათლების სისტემაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის ასევე სასწავლო მასალის არარსებობა ლინგვისტური უმცირესობების ენებზე. მასალების შინაარსი იშვიათად წარმოადგენს უმცირესობათა ჯგუფებს, როგორც ეროვნული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს და არ არის ადაპტირებული მრავალფეროვნების პოპულარიზაციაზე.³² ამ პრობლემის გადაწყვეტა, საფიქრებელია, რომ საქართველოს დაეხმარება არამარტო ეროვნული უმცირესობების განათლების დონის ამაღლების კუთხით, არამედ მეზობელ სახელმწიფოებთან საერთო ისტორიის დადგენასაც წახალისებს და საგარეო ურთიერთობების დალაგებაშიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

5. ინტეგრაციის პრობლემები

5.1. სახელმწიფო ენის არცოდნა და პრობლემის მოგვარების გზები

გარდა წინა თავებში განხილული უფლებებისა, რომელთა კრილშიც ლინგვისტური უფლებების დაცვას ენიჭება მნიშვნელობა,

აუცილებელია ასევე ამ საკითხის განხილვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებასთან მიმართებით. ამ დროს ლინგვისტურ უფლებად მიიჩნევა ქვეყნის ოფიციალური ენის ცოდნის უფლება. აღნიშნული აუცილებელი ინსტრუმენტია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, იმისათვის, რომ კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეებად იდენტიფიცირდნენ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არ არიან დაინტერესებულნი მხოლოდ თავიანთი ეთნიკური ჯგუფის პრობლემებითა და საკითხებით.³³

ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა შეიძლება ითქვას, რომ ყოველთვის განხილვის საკითხს წარმოადგენდა. საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობა უმცირესობას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გამო ერთგვარ საფრთხედ აღიქვამს, შესაბამისად, ეს ფაქტორი საკმაოდ ართულებს საზოგადოებაში მათი „გათქეფვის“ პროცესს. ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს სწორედ ქართული ენის ცოდნა წარმოადგენს. წინა თავში განხილული რეკომენდაციები პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ენის არასაკმარის ცოდნასთან.

ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტიც მესამე მონიტორინგის ანგარიშში ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტური უფლებების განხორციელების კვალდაკვალ გამოყოფს თავად საზოგადოების ამ ნაწილის მხრიდან სახელმწიფო ენის არცოდნის საკმაოდ დიდ პროცენტულ მაჩვენებელსაც და სახელმწიფოს ყურადღებას ითხოვს აღნიშნული პრობლემის მოგვარების პროცესში.

³¹ მესამე შემაჯამებელი დასკვნა საქართველოს შესახებ, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტი, 45.

³² Ibid, გვ 46.

³³ თ. ფირანიშვილი, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თბილისი, 2019, 43.

ოფიციალური ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება უმცირესობის ენის დაცვისა და სწავლებისგან დამოუკიდებლად პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭოს და უზრუნველყოს ქვეყნის ოფიციალური ენის სწავლება. მიუხედავად საქართველოში გატარებული არაერთი მსგავსი კამპანიისა, ქართული ენის სწავლება უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მაინც არ გამოირჩევა წარმატებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება, რომ სხვადასხვა სახის აქტივობებთან ერთად ხელისუფლების მიერ დაიგეგმოს ისეთი ღონისძიებებიც, რომლებიც წახალისებენ სახელმწიფო ენის სწავლებას არამარტო ბავშვებსა და სტუდენტებში, არამედ მოზრდილებშიც. ეს იქნება სამაგალითო უმცროსი თაობისთვის და საბოლოოდ ორმაგ შედეგს გამოიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობები სრულ იზოლაციაციაში აღმოჩნდებიან და ჩამოყალიბდებიან როგორც ცალკეული მოქალაქეები, რომლებიც ვერ მონაწილეობენ ქვეყნისა და მათთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებში, რაც თავის მხრივ, აისახება მათსავე უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.³⁴

დასკვნა

ეროვნული უმცირესობების ლინგვისტური უფლებებით სარგებლობა არ წარმოადგენს იოლად მოსაგვარებელ საკითხს, ის საკმაოდ კომპლექსური ხასიათისაა და მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეულ სფეროსთან. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, როგორც გამოჩნდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სახელმწიფოებისთვის გარკვეული ჩარჩოების დადგენის პროცესში, თუმცა საერთაშორისო სამართლის სუბიექტები საბოლოო ჯამში მაინც თავიანთი პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებენ და დოკუმენტების იმპლემენტაციის საშუალებით არგებენ ნორმებს თავიანთ რეალობას. სწორედ

ასე ხდება საქართველოს შემთხვევაშიც. თუმცა, ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის შეფასების მიხედვით, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტებს აქვს ადგილი. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები გარკვეულ დაბრკოლებებს აწყდებიან, თუმცა მათი მხარდაჭერითა და სახელმწიფოს მიერ პრობლემების გადაჭრის სრული მზადყოფნის გამოცხადების შემთხვევაში, შესაძლებელია ძირეული ცვლილებების განხორციელება, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ლინგვისტურ უმცირესობათა უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში, მათ შორის ქარტიის მორგებული რატიფიკაციითაც.

ბიბლიოგრაფია

1. მეტრეველი ე., „საფრთხეთა წინააღმდეგობრივი აღქმა საქართველოში“, საქ. სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2014;
2. ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., *ექვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში*, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივა, 2016;

³⁴ Ibid, გვ 44.

3. მარიკაშვილი ე., გიგინეიშვილი მ., *უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით*, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, თბილისი, 2017;
4. საქართველოს მესამე ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, 2017;
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, 2018, <https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>;
6. ფირანიშვილი თ., *ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა*, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თბილისი, 2019, http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_15524_74567.pdf;
7. ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია, 1995;
8. *ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის (ACFC) მესამე თემატური კომენტარი*, ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებული, ეროვნულ უმცირესობისადმი მიკუთვნებულ პირებთა ენობრივი უფლებები, 2012 წლის 24 მაისი;
9. საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების შესახებ;
10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
11. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ, 2005, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/43390?publication=0>;
12. საქართველოს მესამე ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, 2017; <https://rm.coe.int/third-state-report-georgia-in-georgian-/168075fc5d>;
13. *მესამე შემჯავებული დასკვნა საქართველოს შესახებ*, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტი, https://smr.gov.ge/uploads/prev/3rd_Op_Geo_05dc9050.pdf;
14. European Charter for Regional or Minority Languages, Strasbourg, 1992;
15. CCPR General Comment No.23: Article 27 (Rights of Minorities) <https://www.refworld.org/docid/453883fc0.html>;
- *Minority Rights: International Standards and Guidance for Implementation*, UN Office of the High Commissioner for Human Rights (OHCHR), 2010 <https://www.refworld.org/docid/4db80ca52.html>;
16. O’Riagáí D., *The political importance of the European Charter for Regional or Minority Languages*, Council of Europe Publishing, 1999;
17. Albanese F., *The position of the European Charter for Regional or Minority Languages in the general context of the protection of minorities*, Council of Europe Publishing, 1999;
18. Hofmann R., *A presentation of the Framework Convention for the Protection of National Minorities and its contribution to the protection of minority languages*, Regional or Minority Languages No.2, Council of Europe Publishing, Innsbruck, 1998, <https://rm.coe.int/16806d22e6>.